



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 160

2016 წლის 05 აგვისტო

ქ. თბილისი

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების, პირველ ეტაპზე, შეფასებისა და საბოლოო ქულის დაანგარიშების წესის შესახებ


„მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N86/ნ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნინო გაჩეჩილაძის სამსახურებრივი ბარათის (N938725, 04.08.2016) შესაბამისად,

გბრძანებ:

1. დამტკიცდეს მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების, პირველ ეტაპზე, შეფასებისა და საბოლოო ქულის დაანგარიშების წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).


მარინე ჩიტაშვილი

შემსრულებელი:  
იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის  
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი




შეთანხმებულია:

იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის  
დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბუთლიაშვილი



სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და  
ანალიზის დეპარტამენტის უფროსი  
გიორგი ხიმტოვანი



დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული

სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2016 წლის 05 აგვისტორ N 160 ბრძანებით

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში  
გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის  
ფარგლებში წარმოდგენილი პირველ ეტაპზე პროექტების შეფასებისა და საბოლოო  
ქულის დაანგარიშების წესი

1. კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები ფასდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 თებერვლის N86 დადგენილების დანართ 2-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად ორი დამოუკიდებელი ექსპერტის (სამეცნიერო პანელის) მიერ.
2. თითოეული სამეცნიერო პანელი შედგება მინიმუმ 2 მეცნიერისაგან.
3. ექსპერტები (სამეცნიერო პანელები) გადაწყვეტილებას იღებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.
4. ექსპერტებისაგან (სამეცნიერო პანელებისაგან) მიღებული შეფასების ქულათა საშუალო არითმეტიკული წარმოდგენს პროექტის საბოლოო შეფასებას.